სსიპ ღვინის
ეროვნული სააგენტო

08 ივლისი 2025

N 03/02/03-54

ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2025 წლის რთვლის საკოორდინაციო შტაბში ღვინის კომპანიების ელექტრონული რეგისტრაციის პირობების დადგენის შესახებ

,,2025 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 4 ივლისის №1073 განკარგულების მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის №2-67 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ღვინის კომპანიებმა, რომელთაც განზრახული აქვთ ყურძნის მიღება-გადამუშავება ვალდებულნი არიან გაიარონ რეგისტრაცია ელექტრონული ფორმით რთვლის საკოორდინაციო შტაბში და უზრუნველყონ:

ა) ღვინის კომპანიების არანაკლებ 10მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტით აღჭურვა;

ბ) ყურძნის მიღება-ჩაბარების თითოეული პუნქტის ვიდეო კონტროლის სისტემით აღჭურვა (არანაკლებ 3 ვიდეო კამერა, ინტერნეტის სიჩქარე = 1მბ/წმ კამერების რაოდენობაზე, სტატიკური გარე IP მისამართი, მონიტორინგის ცენტრიდან ჩამწერამდე წვდომების გახსნა, ვიდეო ჩამწერის მომხმარებელი კამერებზე ადმინისტრირების უფლებით, ვიდეო ჩამწერი თავსებადი მონიტორინგის პროგრამასთან iVMS-4200 (ვერსია 3.3.0.4 ან მეტი), კამერა არანაკლებ 3 მეგაპიქსელი ღამის ხედვის ფუნქციით, ყურძნის მიღებისა და გადამუშავების პროცესის სრული ჩანაწერი (არქივის შენახვა წლის ბოლომდე), რომლის საშუალებით განხორციელდება სასწორზე მანქანის ძარის, სასწორის მაჩვენებლის და ყურძნის გადასამუშავებელი საცავის (ე.წ ,,ბუნკერის“) კონტროლი;

გ) ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესის განხორციელება სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ დაკალიბრებული ელექტრონული სასწორებით აღჭურვილ საწარმოში.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ელექტრონული სასწორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს და მოთხოვნებს:

ა) სასწორის ტიპი ელექტრონიკით აღჭურვილი დატვირთვის ციფრული უჯრედი (load cell equipped with electronics), სტანდარტი - OIML R 60:2000 ციფრული გადაცემის ინდიკატორით მასის სტატიკური აწონვებისთვის; არანაკლებ III კლასის;

ბ) სასწორის კონსტრუქციაში გამოყენებული ტენზოგადამცემების რაოდენობა: არანაკლებ 4 ცალი.

გ) სასწორს უნდა გააჩნდეს მოქმედი კომპორტი RS 232 მუდმივი გადაცემის ფუნქციით (შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი კოდით);

დ) დაკალიბრების ფარგლებში დალუქული უნდა იყოს: ინდიკატორი, კაბელები, ინდიკატორთან კაბელების შეერთების ადგილი, კომუტატორის კოლოფი, კომუტატორთან კაბელების შეერთების ადგილი ან თავად კომუტატორი და კაბელები ერთად.

3. ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნა არ გავრცელდეს იმ ღვინის კომპანიებზე, რომლებსაც განზრახული აქვთ არაუმეტეს 100 ტონა ყურძნის მიღება-გადამუშავება.

4. დაევალოს სააგენტოს მევენახეობა-მეღვინეობის ანალიზისა და რეგულირების და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს ამ ბრძანების ღვინის კომპანიებისათვის გაცნობა.

5. კონტროლს წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

6.ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: *სააგენტოს მევენახეობა-მეღვინეობის ანალიზის და რეგულირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პეტრე მესხიძის 2025 წლის 8 ივლისის N2858-03 მოხსენებითი ბარათი.*

ლევან მეხუზლა

თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა

https://edocument.ge/mea/public/#/54-03-4-202507081801